



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება № 57-47

“ 19 ” ივნისი --- 2025 წ

ქ. თბილისი

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
61- ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს
ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის
ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge;
გამოქვეყნების თარიღი 25/12/2024 - სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.101.017276) და
დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს
თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი

თავი I

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი
განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით

ათას ლარებში

№	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
I	შემოსავლები	1,691,413.5	1,787,117.7	1,934,077.0
1.1	გადასახადები	920,297.6	948,661.8	987,349.2
1.3	გრანტები	443,206.8	520,982.9	595,513.2
1.4	სხვა შემოსავლები	327,909.1	317,473.0	351,214.6
II	ხარჯები	1,351,338.9	1,569,679.8	1,752,684.7
2.1	შრომის ანაზღაურება	92,238.4	112,176.9	150,579.5
2.2	საქონელი და მომსახურება	206,292.2	248,236.9	222,099.5
2.4	პროცენტი	8,461.1	12,162.6	46,940.3
2.5	სუბსიდიები	617,170.5	702,240.8	819,812.7
2.6	გრანტები	1,494.7	1,185.1	1,734.3
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	144,226.7	157,480.5	165,185.1
2.8	სხვა ხარჯები	281,455.3	336,197.0	346,333.3
III	საოპერაციო სალდო	340,074.6	217,437.9	181,392.3
IV	არაფინანსური აქტივების ცვლილება	246,933.3	389,343.0	397,357.5
	ზრდა	342,084.6	480,117.6	477,357.5
	კლება	95,151.3	90,774.6	80,000.0
V	მთლიანი სალდო	93,141.3	- 171,905.1	- 215,965.3
VI	ფინანსური აქტივების ცვლილება	64,340.5	- 200,034.9	- 257,420.6
	ზრდა	64,441.2	-	-
	კლება	100.7	200,034.9	257,420.6
32.1.2	ვალუტა და დეპოზიტები	99.0	200,034.9	257,420.6
32.1.8	სხვა დებიტორული დავალიანებები	1.7	-	-
VII	ვალდებულებების ცვლილება	- 28,800.9	- 28,129.8	- 41,455.3

	ზრდა	23.5	-	-
33.1	საშინაო	23.5	-	-
	კლება	28,824.4	28,129.8	41,455.3
33.1	საშინაო	28,824.4	28,129.8	41,455.3
VIII	ბალანსი	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

ათას ლარებში				
№	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
1	შემოსულობები	1,786,689.1	1,877,892.3	2,014,077.0
	შემოსავლები	1,691,413.5	1,787,117.7	1,934,077.0
	არაფინანსური აქტივების კლება	95,151.3	90,774.6	80,000.0
	ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	100.7	-	-
	ვალდებულებების ზრდა	23.5	-	-
2	გადასახდელები	1,722,247.9	2,077,927.2	2,271,497.5
	ხარჯები	1,351,338.9	1,569,679.8	1,752,684.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	342,084.6	480,117.6	477,357.5
	ვალდებულებების კლება	28,824.4	28,129.8	41,455.3
3	ნაშთის ცვლილება	64,441.2	- 200,034.9	- 257,420.6

მუხლი 3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 1 934 077,0 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში				
შემოსულობების კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა

1	შემოსავლები	1,691,413.5	1,787,117.7	1,934,077.0
11	გადასახადები	920,297.6	948,661.8	987,349.2
13	გრანტები	443,206.8	520,982.9	595,513.2
14	სხვა შემოსავლები	327,909.1	317,473.0	351,214.6

მუხლი 4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 987 349,2 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
11	გადასახადები	920,297.6	948,661.8	987,349.2
11311	ქონების გადასახადი მათ შორის:	286,691.8	295,000.0	320,000.0
113111 113112	საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა)	227,355.2	245,000.0	255,000.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა)	39,529.0	32,500.0	45,000.0
113114 113115	მიწაზე ქონების გადასახადი	19,807.6	17,500.0	20,000.0
11411	დამატებული ღირებულების გადასახადი	633,605.8	653,661.8	667,349.2

მუხლი 5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 595 513,2 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
13	გრანტები	443,206.8	520,982.9	595,513.2

131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	345.2	538.3	430.0
132	უცხო სახელმწიფო მთავრობებიდან მიღებული გრანტები	126.0	-	-
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, მათ შორის	442,735.6	520,444.6	595,083.2
1331	მიმდინარე	555.0	444.6	1,783.2
1331112	მიზნობრივი ტრანსფერი	555.0	444.6	1,783.2
13313	გრანტები ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტიდან	75.6	-	-
133132	გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)- დან/ა(ა)იპ(ებ)-დან	75.6	-	-
1332	კაპიტალური	442,105.0	520,000.0	593,300.0
1332111	სპეციალური ტრანსფერი	440,000.0	500,000.0	580,000.0
1332112	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	-	12,000.0	-
1332119	სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	2,105.0	8,000.0	13,300.0

მუხლი 6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
351 214,6 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	327,909.1	317,473.0	351,214.6
141	შემოსავლები საკუთრებიდან	27,078.8	14,840.0	25,599.0

1411	პროცენტები	21,258.3	8,840.0	18,799.0
1415	რენტა	5,820.5	6,000.0	6,800.0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	2,991.7	2,000.0	2,800.0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2,826.8	4,000.0	4,000.0
14159	სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	2.0		
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	166,676.0	165,349.8	170,946.4
1421	საბაზრო დაწესებულების მიერ გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.1		
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	165,631.9	163,399.8	168,996.4
14223	სანებართვო მოსაკრებლები, მათ შორის	23,059.7	18,194.8	23,791.4
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის	20,659.5	17,000.0	19,000.0
14223993	მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე	2,400.2	1,194.8	4,791.4
14227	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	100.8	-	-
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	1.8	5.0	5.0
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	57,150.3	70,000.0	50,000.0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	80,460.4	75,000.0	95,000.0
142216	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	4,751.9	-	-
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	107.1	200.0	200.0

1423	არასაბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	1,044.0	1,950.0	1,950.0
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	1,044.0	1,950.0	1,950.0
1423201	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,012.4	1,950.0	1,950.0
142322	შემოსავალი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0.2	-	-
142329	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	26.2	-	-
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	123,490.3	115,000.0	115,000.0
144	ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	10,664.0	22,283.2	39,669.2
1441	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	10,664.0	22,283.2	39,669.2
144125	სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი	30.7	-	-
144127	შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	283.2	283.2	307.2
1441299	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	10,350.1	22,000.0	39,362.0

მუხლი 7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 1 752 684,7 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში			
დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა

ხარჯები	1,351,338.9	1,569,679.8	1,752,684.7
შრომის ანაზღაურება	92,238.4	112,176.9	150,579.5
საქონელი და მომსახურება	206,292.2	248,236.9	222,099.5
პროცენტი	8,461.1	12,162.6	46,940.3
სუბსიდიები	617,170.5	702,240.8	819,812.7
გრანტები	1,494.7	1,185.1	1,734.3
სოციალური უზრუნველყოფა	144,226.7	157,480.5	165,185.1
სხვა ხარჯები	281,455.3	336,197.0	346,333.3

მუხლი 8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 397 357,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 477 357,5 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შეკეთება	89,078.7	112,681.9	110,424.5
01 02	ტრანსპორტის განვითარება	17,574.4	12,807.8	9,161.1
02 01	საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია	34,603.1	42,403.3	51,303.8
02 03	საპროექტო-სამშენებლო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები	986.8	1,493.2	3,694.9
02 05	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	4,950.8	4,200.2	2,142.3

02 07	ღონისძიებების უზრუნველყოფა	2,119.7	2,421.4	500.0
02 09	კეთილმოწყობის ღონისძიებები	64,901.4	85,444.3	82,675.6
02 10	ქალაქის განვითარების ხელშეწყობა	9,592.3	21,441.6	11,258.0
02 12	ავარიული სახლების ჩანაცვლება	2,699.2	13,815.8	24,550.4
03 01	გამწვანების ღონისძიებები	46,273.1	45,922.4	37,148.3
03 03	თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა	4,461.8	6,181.7	9,941.2
03 04	რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაცია	-	26,000.0	44,051.1
04 01	ბიზნესის სტიმულირება	-	75.0	-
04 08	თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა	279.8	205.2	135.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	190.0	43.5	1.5
06 02	სოციალური დაცვა	3,336.3	4,653.5	5,608.0
07 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა	18,864.2	48,081.7	25,858.0
07 02	ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა	4,114.6	4,985.0	5,392.9
07 03	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა	1,339.5	734.4	762.3
07 05	უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება	15.8	38.3	9.0
07 06	ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	49.5	264.5	715.5
08 01	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა	59.8	127.2	20.0
08 03	ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია	496.7	5,297.8	1,126.2
08 04	ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება	1,245.8	1,656.3	1,180.4

08 06	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	22,348.2	21,407.4	19,978.6
08 08	ახალგაზრდული ღონისძიებები	2,389.7	1,760.6	2,555.0
08 10	საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა	148.6	201.5	100.0
09 01	თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა	1,564.5	1,702.1	2,700.1
09 02	ცხოველთა მონიტორინგი	1,269.1	2,501.9	3,885.0
10 01	ქ.თბილისის საკრებულო	530.4	377.0	78.5
10 02	მერიის ადმინისტრაცია	5,018.2	7,606.6	18,913.5
10 18	სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო	31.7	107.6	-
10 20	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური	6.2	6.0	6.0
10 21	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო	1,069.1	3,000.0	-
10 27	გლდანის რაიონის გამგეობა	29.3	51.3	30.0
10 28	ნაძალადევის რაიონის გამგეობა	46.0	18.4	23.0
10 29	დიდუბის რაიონის გამგეობა	59.8	55.8	46.0
10 30	ჩუღურეთის რაიონის გამგეობა	23.1	29.2	325.0
10 31	ვაკის რაიონის გამგეობა	31.5	39.7	19.0
10 32	საბურთალოს რაიონის გამგეობა	32.8	56.8	20.0
10 33	ისნის რაიონის გამგეობა	148.6	36.4	110.0
10 34	სამგორის რაიონის გამგეობა	39.0	17.5	832.8
10 35	კრწანისის რაიონის გამგეობა	53.0	30.2	49.9
10 36	მთაწმინდის რაიონის გამგეობა	12.3	135.7	25.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	342,084.6	480,117.6	477,357.5

ბ) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 80 000,0 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივების კლება	95,151.3	90,774.6	80,000.0
311	ძირითადი აქტივები	34,091.1	34,774.6	34,000.0
31111	საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან	27,665.8	30,774.6	30,000.0
31112	არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან	6,201.0	4,000.0	4,000.0
312	მატერიალური მარაგები	437.1	-	-
314	არაწარმოებული აქტივები (მიწა)	60,623.2	56,000.0	46,000.0

მუხლი 9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ათას ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	117,572.7	157,189.5	221,060.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	87,492.6	110,191.1	135,989.1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	87,492.6	104,891.1	127,989.1
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	5,300.0	8,000.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	8,471.6	12,162.6	46,940.3
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	21,608.5	34,835.9	38,130.6
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,632.4	3,817.1	6,582.1

7033	სასამართლოები და პროკურატურა	-	2,000.0	3,765.0
7036	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	1,632.4	1,817.1	2,817.1
704	ეკონომიკური საქმიანობა	549,848.5	675,091.7	741,021.7
7045	ტრანსპორტი (მათ შორის გზები)	547,439.6	672,824.3	737,942.2
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2,408.9	2,267.4	3,079.5
705	გარემოს დაცვა	241,523.5	303,074.8	276,502.1
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	140,067.4	177,040.1	131,882.4
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	3,514.8	4,180.0	4,602.2
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	97,941.3	121,854.7	140,017.4
706	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	298,860.6	354,479.6	409,450.8
7061	ბინათმშენებლობა	117,988.5	139,582.2	176,022.4
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	39,734.3	42,403.3	51,303.8
7064	გარეგანათება	38,908.5	40,472.0	46,694.8
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	7,362.1	8,582.5	11,597.7
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო _ კომუნალურ მეურნეობაში	94,867.2	123,439.7	123,832.2
707	ჯანმრთელობის დაცვა	29,835.1	39,358.5	41,053.9
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	3,277.6	4,078.3	3,568.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	26,557.5	35,280.3	37,485.9
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	99,954.8	118,430.2	104,119.9
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	35,046.0	39,370.4	34,946.2
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	56,605.2	68,032.6	57,889.7
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2,684.4	5,216.4	5,429.9

7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	5,619.2	5,810.8	5,854.1
709	განათლება	233,210.8	273,020.7	295,688.4
7091	სკოლამდელი აღზრდა	204,333.4	237,550.3	255,401.4
7093	პროფესიული განათლება	1,394.9	1,120.0	2,100.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	29.1	61.6	142.2
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	27,453.5	34,288.8	38,044.8
710	სოციალური დაცვა	120,985.2	125,335.2	134,563.3
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	4,411.5	5,279.6	6,607.8
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	420.9	485.6	1,224.9
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	54,580.1	55,551.6	56,429.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	13,378.1	17,238.5	21,048.2
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	48,194.6	46,779.9	49,253.4
	სულ	1,693,423.5	2,049,797.4	2,230,042.2

მუხლი 10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ათას ლარებში			
დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	340,074.6	217,437.9	181,392.3
მთლიანი სალდო	93,141.3	- 171,905.1	- 215,965.3

მუხლი 11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (257 420,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
	64,441.2	-	-
ვალუტა დეპოზიტები	64,441.2	-	-

ა) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 257 420,6 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
	100.7	200,034.9	257,420.6
ვალუტა დეპოზიტები	99.0	200,034.9	257,420.6
სხვა დებიტორული დავალიანება	1.7	-	-

ბ) განისაზღვროს 2025 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთის მოცულობა 268 742,5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (41 455,3) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
საშინაო	23.5	-	-
საგარეო	-	-	-

ა) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 41 455,3 ათასი ლარის ოდენობით

ვალდებულებების კლება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
	28,824.4	28,129.8	41,455.3
საშინაო	28,824.4	28,129.8	41,455.3

ბ) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2025 წლის ბოლოსთვის 1 111 973,0 ათასი ლარის ოდენობით

კრედიტორები	ვალის ნაშთი 2025 წლის ბოლოსათვის
თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება *	6,085.2
თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება *	45,021.7
თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა *	200,010.0
თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი *	25,963.6
მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) *	148,299.1
თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი *	159,658.2
თბილისის მეტროს (მოდრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (II)	394,412.5
თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება *	82,037.8
თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზუმერები სისტემის პროექტის სესხის მომსახურება *	50,484.8
სულ ვალის საპროგნოზო მოცულობა	1,111,973.0

შენიშვნა: მოცულობის გამოთვლისას გამოყენებულია საპროგნოზო გაცვლითი კურსი : 1 ევრო - 3.1553 ლარი, 18.06.2025წ.

თავი II

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები, პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა კვლავაც რჩება ერთერთ ძირითად პრიორიტეტად, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მასშტაბური სამუშაოები საგზაო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (ახალი საგზაო მონაკვეთების მშენებლობა, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება, სატრანსპორტო კვანძების მშენებლობა-რეაბილიტაცია). მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მეტროპოლიტენის, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მომსახურების ხარისხი. მოეწყობა ახალი საფეხმავლო ქუჩები და ველოტრასები. უზრუნველყოფილი იქნება ავტობაზების მოდერნიზება და თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა. გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო ნაკადების მართვის სისტემა. მუნიციპალური ავტოპარკი ეტაპობრივად სრულად ჩანაცვლდება ელექტროტრანსპორტითა და ჰიბრიდული ტრანსპორტით. უზრუნველყოფილი იქნება სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება
(კოდი 01 01)

საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად და გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდება მუშაობა ცენტრალური და შიდა კვარტალური გზების მშენებლობა/რეაბილიტაციისთვის, მოხდება ახალი გზების მშენებლობა და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაცია, შემოერთებული ტერიტორიების ინტეგრაცია ქალაქთან, გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან, ჩატარებული სამუშაოების შედეგად აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება ცენტრალური და შიდაკვარტალური მნიშვნელობის საავტომობილო გზები, შემცირდება საცობების რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს სატრანსპორტო ნაკადების მაჩვენებლებზე.

გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი: 01 01 01)

ქვეპროგრამის მიზანია თბილისის გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ახალი გზების მშენებლობა და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, შემოერთებული ტერიტორიების ინტეგრაცია ქალაქთან, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაცია.

გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში (კოდი: 01 01 08; 01 01 09; 01 01 10; 01 01 11; 01 01 12; 01 01 13; 01 01 14; 01 01 15; 01 01 16; 01 01 17)

ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელდება რაიონის ტერიტორიაზე დაზიანებული ქუჩების, შიდა კვარტალური გზებისა და შიდა ეზოების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება (სანიაღვრეს ან ბორდიურის ჩათვლით), ახალი ქვაფენილის მოწყობა, დაზიანებული ქვაფენილის აღდგენა/შეკეთება, შემოერთებულ ტერიტორიებზე ამორტიზებული გზების მოხრეშვა მოსწორება, რომელიც განაპირობებს რაიონში არსებული გზის საფარის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნება-გაუმჯობესებას, რის შედეგადაც უსაფრთხო გახდება ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება. კომფორტული და თანაბარი ხელმისაწვდომი გარემოს შექმნის მიზნით ასევე, გათვალისწინებულია

გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა მოთხოვნებთან.

ტრანსპორტის განვითარება (კოდი: 01 02)

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, განხორციელდება დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოძკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობა; შუქნიშნის ახალი ობიექტების დაყენება, გზაჯვარედინებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების რეკონსტრუქცია და მიერთება მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე, შუქნიშნის მართვის ცენტრის ექსპლუატაცია; დედაქალაქის ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფისათვის შუქნიშნების მუშაობის რეჟიმის რეგულირება, გზაჯვარედინების რეორგანიზაციის სამუშაოების ჩატარება და გადასასვლელების მოწყობა; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლის დამონტაჟება; თბილისის მასშტაბით ელექტრო ავტომანქანების დასატენი მოწყობილობების დამონტაჟება; ტრანსპორტის განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება; „ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების“ განახლება - განვითარება; ავტობაზების მშენებლობა; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია და სხვა ღონისძიებები.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი: 01 02 01)

ქვეპროგრამის მიზანია ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფისათვის შუქნიშნების მუშაობის რეჟიმის რეგულირება, გზაჯვარედინების რეკონსტრუქცია და გადასასვლელების მოწყობა; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობა; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოძკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის ხელოვნური უსწორმასწორობების (ბორცვები)

დამონტაჟება; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება; შუენიშნის ახალი ობიექტების დაყენება, გზაჯვარედინებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების რეკონსტრუქცია და მიერთება მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე, შუენიშნის მართვის ცენტრის ექსპლუატაცია; თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული დასახლებების, სოფლებისა და დაბის გზებსა და გზაჯვარედინებზე ლითონის ძელებიანი ზღუდარების შეძენა-დამონტაჟება; გზაჯვარედინების რეორგანიზაციის სამუშაოების ჩატარება და გადასასვლელების მოწყობა; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლის დამონტაჟება; საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება; თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე არსებულ მრუდეებზე (მოსახვევებში) ანტი-ვანდალური სფერული სარკეების მოწყობა; ერთკომპონენტიანი საღებავით ჰორიზონტალური და ვერტიკალური, თერმოპლასტიტ და ცივი პლასტიტ საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება; თბილისის მაშტაბით ელექტრო ავტომანქანების დასატენი მოწყობილობების დამონტაჟება; ტრანსპორტის განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება, „ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების“ განახლება-განვითარება, ახალი ავტობაზის პროექტირება-მშენებლობა და სხვა ღონისძიებები.

მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია და მშენებლობა (კოდი: 01 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის მეტროს (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტით გათვალისწინებული 12 მეტროსადგურის რეაბილიტაცია) სესხის მომსახურების პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა.

თბილისის ავტობუსების პარკის განახლება - შევსება (კოდი: 01 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის საიმედოობის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საავტობუსო პარკის განახლება-შევსება. განხორციელდება "თბილისის ავტობუსების პროექტის ფარგლებში" ახალი M3 კატეგორიის 18 მეტრიანი ავტობუსების შეძენა.

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი: 01 02 05)

ქვეპროგრამის მიზანია საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდიის სახით დაფინანსდება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) და „უნივერსიტეტი-ბაგები“ საბაგიროს სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, დაფინანსდება რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მომსახურების სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები.

2. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, მოხდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა – რეკონსტრუქცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, ქალაქის დასასვენებელი სივრცეების კეთილმოწყობა. გაგრძელდება საზოგადოებრივი დანიშნულებისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელების, პარკებისა და რეკრეაციული ობიექტების და საერთოდ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან. ერთიანი გეგმის შესაბამისად, განხორციელდება ავარიული და ძველი შენობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება, აქტიურად გაგრძელდება თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის და ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები, თბილისის ყველა უბნის თანაბარი განვითარება. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. გაგრძელდება დედაქალაქის მასშტაბით სადღესასწაულო, კულტურული, სპორტული და სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების მზადებაში მონაწილეობის მიღება და განხორციელების უზრუნველყოფა.

საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირება, მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი: 02 01; 02 01 01; 02 01 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მშენებლობა, აღდგენა – რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას. ასევე, მოხდება ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმუმამდე დაყვანა, ახალი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა, სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება, მშენებლობა და სხვა.

ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი: 02 02)

პროგრამა ითვალისწინებს საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ამისათვის დაგეგმილია თბილისში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების დემონტაჟი, აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავს ავარიული საცხოვრებელი სახლების შემცირებას, ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მოზინადრეთა უსაფრთხოების დაცვას.

საპროექტო-სადიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი: 02 03)

პროგრამა ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სადიებო სამუშაოების ჩატარებას, პროექტების ექსპერტიზას და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია საავტომობილო გზების (ასფალტის, ბეტონის და ქვაფენილის საფარიანი გზების), წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის და სარეაბილიტაციო სამუშაოების, საინჟინრო (ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობები) და ხაზოვანი ნაგებობების და ქსელების (წყალსადენ-კანალიზაცია და სანიაღვრე ქსელი) მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ასფალტ-ბეტონის და ბეტონის ლაბორატორიული კვლევა; ავარიული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა (ვიზუალური დაკვირვების

მეთოდი), დასკვნების მომზადება, საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი და სხვა ღონისძიებები.

საპროექტო-სადიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი: 02 03 01)

სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები. შესაბამისად, ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სადიებო სამუშაოების ჩატარებას, პროექტების ექსპერტიზას და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას.

სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საავტომობილო გზების, წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის და სარეაბილიტაციო სამუშაოების, საინჟინრო ნაგებობების (ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობები) მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ასფალტის, ბეტონის და ქვაფენილის საფარიანი გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ხაზოვანი ნაგებობების და ქსელების (წყალსადენ-კანალიზაცია და სანიაღვრე ქსელი) მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ასფალტ-ბეტონის და ბეტონის ლაბორატორიული კვლევა; ავარიული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა (ვიზუალური დაკვირვების მეთოდი) და დასკვნების მომზადება; საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (კოდი: 02 05)

პროგრამის მიზანია თბილისის ქუჩების, მოედნების, მაგისტრალების, საცხოვრებელი მასივების, შიდა კვარტალების, ბაღ-სკვერების, ხიდების, გზატკეცილების გარე განათების არსებული ქსელის განათება და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრული მინათება. პროგრამის ფარგლებში მოხდება: გარე განათების ქსელის

ცენტრალიზებული მართვის სისტემების სრულყოფა, გარე განათებისა და სკვერების განათების ბოძების დიზაინის გაუმჯობესება, ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებების რეგულარული გატარება, გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია–განვითარება.

სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი: 02 06)

პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა. მიზნების მისაღწევად განხორციელდება თბილისის ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობა (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთება, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმომღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმომღებების მოწყობა, კიუვეტების გაწმენდა.

ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი: 02 07)

პროგრამის მიზანია დედაქალაქის გაფორმება დღესასწაულებისა და სხვადასხვა ღონისძიებებისთვის თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით, კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის მიხედვით; სახელმწიფო, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების მოთხოვნით, საერო, სასულიერო, სადღესასწაულო, კულტურული, სპორტული და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების მზადებაში მონაწილეობის მიღება და განხორციელების უზრუნველყოფა; მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონებში საფლავების მოწყობა, ძეგლებისა და მემორიალების მოვლა-პატრონობა, პიროვნებებისა და ხელოვნების უკვდამყოფი მემორიალების დამზადება-მონტაჟი; სხვადასხვა ფესტივალების, კონკურსებისა და საიუბილეო ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების განსახორციელებლად ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა; სხვადასხვა სფეროს მიკუთვნებული საერთაშორისო და გაცვლითი ღონისძიებების განხორციელება, თბილისთან დამოძილებულ ან/და მსოფლიოს სხვა ქალაქებთან სხვადასხვა სფეროს მიკუთვნებული ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა და სხვა ღონისძიებები.

კეთილმოწყობის ღონისძიებები (კოდი 02 09)

პროგრამის მიზანია ქალაქისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია, სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა, მოვლა-პატრონობა (მათ შორის ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან); სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა; უკანონო ნაგებობების დემონტაჟი; რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას რაიონის მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი: 02 09 01)

დედაქალაქის საჭიროებებისა და პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია კეთილმოწყობითი ღონისძიებების განხორციელება. მათ შორის: დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია; თბილისის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების მოვლა-პატრონობა; კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები; ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი; თბილისის მასშტაბით გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანის სამუშაოები; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა და სხვა.

უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი: 02 09 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით მშენებლობის, ქალაქის იერსახის, გარე რეკლამის, გარე ვაჭრობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ხმაურის ნორმების დაცვისა და საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში დადგენილი წესების დაცვა. ექსპლუატაციაში მიღების მიზნით წარმოდგენილი დასრულებული ობიექტის ან/და მისი სამშენებლო დოკუმენტის შემოწმება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული საბოლოო ანგარიშების მიღების მიზნით წარმოდგენილი ობიექტის

ან/და მისი სამშენებლო დოკუმენტის შემოწმება, დამრღვევის მიერ სამშენებლო ობიექტზე არსებული დარღვევების აღიარების შემთხვევაში შესაბამისი კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება, სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, დარღვევით მშენებარე ობიექტების შეჩერება ან/და დემონტაჟი. საჯარიმო სანქციების გამოყენება, სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების დაცვაზე (სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვა, მიწისქვეშა კომუნიკაციათა ჩაწყობა-გადაკეთებისა და მიწის გათხრასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების ჩატარება, სამუშაოების დამთავრების შემდეგ ობიექტის კეთილმოწყობა-მოწესრიგება და სხვა), დაზიანებული ქუჩებისა და მაგისტრალების მოწესრიგების ღონისძიებათა დროულ და ხარისხიან შესრულებაზე კონტროლი. გარე რეკლამის განთავსების და გარე ვაჭრობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათ შესაბამისობაში მოყვანაზე კონტროლი. უკანონო, უსახური და ამორტიზირებული ჯიხურების, პავილიონების, მცირე არქიტექტურული ფორმების მანქანა-დანადგარების, დახლების, სხვადასხვა კონსტრუქციების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატების და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა და მათი აღკვეთა-სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება.

კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში (კოდი: 02 09 10; 02 09 11; 02 09 12; 02 09 13; 02 09 14; 02 09 15; 02 09 16; 02 09 17; 02 09 18; 02 09 19).

ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას რაიონის მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები. განხორციელდება საინჟინრო კონსტრუქციების აღდგენა-გამაგრება, სპორტული მოედნების, სკვერების, საყრდენი კედლების, უსაფრთხოების მოაჯირების, საფეხმავლო ბილიკებისა და სადრენაჟე, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია, სასმელი წყლის ნიჟარების ექსპლუატაცია, დასასვენებელი და საბავშვო კუთხეების მოწყობა, საბაღე სკამების

დამზადება და მონტაჟი, გამწვანების ღონისძიებები (ნერგების შესყიდვა, ხეების სხვლა, ფორმირება, მოტეხილი და მოთხრილი ხეების მოჭრა და გატანა, ბალახის თიბვა, გამწვანებული ტერიტორიების მორწყვა და სხვა), მოსახლეობის დახმარების მიზნით გაზიფიცირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები (ინდივიდუალური და დევნილთა კომპაქტური ჩასახლების გაზიფიცირება, შემოერთებული ტერიტორიის მაგისტრალური ქსელის მოწყობა და სხვა), რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრების დახმარება, მწვავე ავარიული შენობების დემონტაჟი, რაიონის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-პატრონობა, სხვადასხვა საზოგადოებრივ ობიექტებზე მოსახლეობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის პანდუსების მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 02 10)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: თბილისის ისტორიული იერსახის შენარჩუნების და უძრავი ქონების ღირებულების ზრდის მიზნით, ისტორიულ-კულტურული ძეგლების, საცხოვრებელი სახლებისა და მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობების მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად სტრატეგიის შემუშავება/ განხორციელება. მსხვილი არეალების (ქუჩების, მოედნების, დასახლებული კვარტლების) ცალკეული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და მათი ნაწილების, ასევე, ისტორიული სადარბაზოების, მუზეუმების, რეკრეაციული ზონების, სხვადასხვა ისტორიული შინაარსის მატარებელი ინფრასტრუქტურის, ადაპტირებული ობიექტების და ყველა თანმდევი სამუშაოების პროექტირება/რეაბილიტაცია. აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შემდეგ ტურისტებისთვის შეიქმნება დამატებითი მიზიდულობის კერები, ხოლო მუზეუმების და რეკრეაციული ზონების აღდგენა-განვითარებით შეიქმნება ახალი საზოგადოებრივი სივრცეები - უსაფრთხო ეკოლოგიურად სუფთა გარემო დასვენების, გართობის და კულტურული ღონისძიებებისთვის. ასევე, გათვალისწინებულია საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის გადასახადების გადახდა.

ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი: 02 12)

პროგრამა ითვალისწინებს ძველი შენობების ახლით ჩანაცვლებას, რაშიც იგულისხმება საბჭოთა დროინდელი შენობების თანამედროვე კორპუსებით ეტაპობრივი ჩანაცვლება. პროგრამას დაექვემდებარება ის კორპუსები, რომლებსაც გასული აქვთ ექსპლუატაციის ვადა და მინიჭებული აქვს ავარიულობის ხარისხი. პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი კორპუსიდან დროებით იქნება გაყვანილი მოსახლეობა (ბინის ქირით უზრუნველყოფა) და ახალი კორპუსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მათ იმავე ადგილას გადაეცემათ შესაბამისი ფართი გარემონტებულ მდგომარეობაში. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისას, ქონების მიმღებს ბიუჯეტიდან საჭიროების შემთხვევაში აუნაზღაურდებათ გადასაცემი უძრავი ქონების რემონტის ხარჯები.

3. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

დედაქალაქში ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, აღდგება და განახლება თბილისის შემოგარენის დაავადებული ტყეები, დაავადებულ ტყის მასივებში განხორციელდება სანიტარული და ტყის აღდგენის (ბუნებრივი განახლების) ხელშეწყობის ღონისძიებები, დაიხვეწება ნარჩენების მართვისა და გადამუშავების სისტემა, გაუმჯობესდება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა და გარე-იერსახე, მცენარეთა ფიტო-სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობა, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება, პარკების განახლება და ახალი გამწვანებული სივრცეების/მწვანე კუნძულების შექმნა. გარდა ამისა, განხორციელდება დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების ღონისძიებები, ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბება და სხვა.

გამწვანების ღონისძიებები (კოდი: 03 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. გარდა ამისა, განხორციელდება გარემოსდაცვითი კვლევები და რეკომენდაციები, ტყის აღდგენის (ბუნებრივი განახლების) ხელშეწყობის ღონისძიებები, მცენარეთა შესყიდვა, (სხვადასხვა ჯიშის ყვავილები, ბუჩქები, მერქნიანი მცენარეები); თბილისის ტერიტორიაზე, მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა (რულონი), მწვანე თარგებიდან სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება; ხეების მოჭრა-გადაბეღვა და კუნძულების ამოღება-გატანა; ფოთლოვანი და წიწვოვანი მერქნიანი მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა); სარწყავი ქსელების რეკონსტრუქცია და ახლის მოწყობა; საბაღე ფურნიტურის და სათამაშო ატრაქციონების მონტაჟი სარეკრეაციო ზონებში, შუა გამყოფი ზოლების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები, გამწვანებული ტერიტორიების და შადრევნების მოვლა-პატრონობა და სხვა ღონისძიებები.

დასუფთავების ღონისძიებები (კოდი: 03 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; ხეების, ფერდობების და მიწისქვეშა გადასასვლელის დაგვა დასუფთავება; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების სანიტარული ნორმების შესაბამისად დეზინფექცია-დერატიზაცია, შეზიდული ნარჩენების აღრიცხვა-კონტროლი და შემდგომში კონსერვაცია; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა-პატრონობა, დაცვა; თოვლცვენის დროს გზებისა და მოედნების გაწმენდისა და ტექნიკური მარილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; საბილინგო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. ასევე, გათვალისწინებულია თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) სესხის და გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი და სხვა ღონისძიებები.

თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03)

პროგრამა მიზნად ისახავს ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირების ხელშეწყობას და ზოოლოგიური პარკის ბინადართა მოვლა-პატრონობას და განვითარებას; საერთაშორისო სტანდარტების ზოოპარკის და ბოტანიკური ბაღის შექმნას; ვიზიტორების უსაფრთხოებას; განათლების სხვადასხვა ასაკობრივი პროგრამების შემუშავებას და საზოგადოებაში სწორი და ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ველური ბუნებისა და გარესამყაროს მიმართ; საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას და გაწევრიანებას, რაც საშუალებას მისცემს ზოოლოგიურ პარკს და ბოტანიკურ ბაღს მიიღოს დროული ინფორმაცია და რჩევები უცხოელი კოლეგებისგან, გაამდიდროს და გააფართოვოს ცხოველებისა და მცენარეების კოლექცია. აღნიშნული მიზნების წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის, როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბებას.

თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზოოლოგიური პარკის ფუნქციონირების ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს: ზოოპარკის ძველ და ახალ ტერიტორიაზე განთავსებული ცხოველების მოვლა-პატრონობისთვის, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, მიმდინარე და დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოებისთვის, ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯებს; ეროვნული და გლობალური საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამრავლებას და აღდგენას, როგორც ტყვეობის პირობებში, ისე ბუნებაში; მსოფლიოს და ადგილობრივი ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვას, როგორც საექსპოზიციო, ასევე, საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნით; საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ზოოპარკებთან ურთიერთობას; სკოლამდელი და სკოლის ასაკის მოზარდებში ეკოლოგიური განათლების გავრცელებას სწავლების სხვადასხვა ფორმით; ახალი ვოლიერების მშენებლობას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე ცხოველების

გადაყვანის უზრუნველყოფას, ჩამოყვანილი ცხოველებისთვის გამოთავისუფლებული ვოლიერების შესაბამისობაში მოყვანას, ცხოველთა კოლექციის გამდიდრებას საექსპოზიციო და სამეცნიერო მიზნებისათვის, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესებას და სხვა ღონისძიებებს.

ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ბოტანიკური ბაღის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2030) შესაბამისად გაგრძელება ბოტანიკური ბაღის მერქნიან მცენარეთა ინვენტარიზაცია, კოლექციების დოკუმენტირება; სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება; მერქნიან, დეკორატიულ-ბალახოვან მცენარეთა, ასევე იშვიათ, ენდემურ, სამკურნალო და მაღალი საკონსერვაციო სტუსის მქონე მცენარეთა კოლექციების შევსება; უზრუნველყოფილი იქნება ბაღის კოლექციებისა და ინფრასტრუქტურის მოვლა, განახლება და შევსება; მოხდება საკონსერვაციო სამუშაოთა მხარდაჭერა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებათა ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის, მატერიალური-ტექნიკური რესურსების განახლება; ბაღის ცნობადობისა და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა; ბაღისთვის საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაცია (კოდი: 03 04; 03 04 01; 03 04 02; 03 04 03)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. პარკების ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოეწყობა გამწვანება მრავალწლიანი ხეებითა და გაზონებით. ასევე, გათვალისწინებულია არსებული სივრცის ფიზიკური აქტივობებისთვის მაქსიმალურად ათვისება, რაც არა მარტო მიმდებარე უბნებისთვის, არამედ თბილისის ყველა მაცხოვრებლისთვის მულტიფუნქციურ სარეკრეაციო და გამაჯანსაღებელ კერად შეიძლება იქცეს. სპორტული მოედნები, რომლებიც

სხვადასხვა აქტივობებისთვის არის განსაზღვრული, დამსვენებელს, ბუნებასთან ინტეგრირებით, ფიზიკური დატვირთვის მრავალფეროვან სპექტრს სთავაზობს. განხორციელდება სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა, ვერის ბაღის რეაბილიტაცია, ვაკის პარკის შედრევნების და კასკადის რეაბილიტაციის სამუშაოები.

4. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, თბილისის მერია შეიმუშავებს მუნიციპალური განვითარების გეგმას. განხორციელდება თბილისის ეკონომიკური პოტენციალის სრულფასოვანი კვლევა. შეიმუშავდება და განხორციელდება ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკა, ტურისტული პოტენციალის უკეთ ათვისების სტრატეგია, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მიზნით სხვადასხვა პროექტები. გააქტიურდება თანამშრომლობა პარტნიორ მუნიციპალიტეტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (საერთო პროექტები, კონფერენციები, ფორუმები, სემინარები, სხვადასხვა შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და მათი თბილისში მასშინძლობა). მოხდება ქალაქისათვის პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორების შერჩევა და მხარდაჭერა სხვადასხვა ღონისძიებებით.

ბიზნესის სტიმულირება (კოდი: 04 01)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით მდგრადი ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა; მუნიციპალიტეტის ფარგლებში ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბება, ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების განვითარების ხელშეწყობა და თბილისში რეგისტრირებული ან მოქმედი სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობის მხარდაჭერა; მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა; მეწარმე ქალთა მხარდაჭერა; ქალაქის საერთაშორისო რეპუტაციის, ცნობადობის ამაღლების და ინფორმაციის გაცვლის მიზნით ადგილობრივი ღონისძიებების ჩატარება; ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციური პროექტების დანერგვა, რომლებიც მოქალაქეებისთვის არსებული მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებასა და ახალი სერვისების შექმნას უზრუნველყოფს. მიზნების მისაღწევად განხორციელდება ქალაქისათვის პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორების შერჩევა და მხარდაჭერა ღონისძიებებით: მათ შორის, ადგილობრივი

ბიზნესმენების ხელშეწყობისა და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით გამოფენა-გაყიდვების ჩატარება, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმის ორგანიზება, სხვადასხვა ღონისძიებები ინოვაციების ხელშეწყობის მიმართულებით და სხვა.

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03)

პროგრამის მიზანია თბილისში ეკონომიკური განვითარების (ბიზნესის ხელშეწყობა, შრომის ბაზრის განვითარება და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება) ხელშეწყობის კვლევების, სტრატეგიების და პროექტების განხორციელება; მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც გააუმჯობესებს ზოგად ბიზნეს გარემოს, ხელს შეუწყობს დარგობრივ განვითარებას, გაზრდის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის დონეს, გააუმჯობესებს ღირებულებათა ჯაჭვს, უფრო კოორდინირებულს გახდის ეკონომიკის განვითარებას და ა.შ. ასევე, თბილისის ტურისტული პოტენციალის ხელშეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო მასალების დაბეჭდვა/გავრცელების გზით, რომლის მიზანია საერთაშორისო ფორუმებსა თუ სხვადასხვა კონფერენციის ფარგლებში თბილისის ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენა.

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი: 04 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: ქალაქის საერთაშორისო რეპუტაციისა და ცნობადობის ამაღლება; საზღვარგარეთ თბილისის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა; არსებულ პარტნიორებთან ურთიერთობების განმტკიცება და ახალ პარტნიორებთან ურთიერთობების დამყარება; ევროპულ ინიციატივებთან მიერთება. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და უცხოურ ქალაქებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარება (საერთო პროექტები, კონფერენციები, ფორუმები, სემინარები, სხვადასხვა შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და მათი თბილისში მასპინძლობა).

მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა (კოდი: 04 07)

პროგრამის მიზანია თანამედროვე მართვის სტანდარტებსა და კანონმდებლობასთან თავსებადი მართვის მრავალფუნქციური სისტემის დანერგვა, მერიის სისტემაში

